

მარიამ უჯმაჯურიძე

კავკასიის ბიზნესის სკოლა

FH JOANNEUM University of Applied Sciences, Austria

„ჩემთვის კავკასიის უნივერსიტეტის არჩევის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ერაზმუსის გაცვლითი პროგრამა წარმოადგენდა. ამ პროგრამის შესახებ ბევრი რამ მსმენია და თავიდანვე მიზნად მქონდა დასახული მასში მონაწილეობის მიღება. ამიტომაც, როცა შესაძლებლობა მომეცა ავსტრიაში, FH JOANNEUM, University of Applied Sciences-ში მესწავლა ერთი სემესტრით, მეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ შემოთავაზებას. ავსტრიამ და კერძოდ გრაცმა პირველი დღიდანვე მომხიბლა მისი სილამაზით, მშვიდი გარემოთი და სასიამოვნო ხალხით.

უნივერსიტეტში სწავლის პროცესი ჩვენგან განსხვავებული, მაგრამ საინტერესო იყო. სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ლექტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ რომ ონლაინ რეჟიმშიც კი, სალექციო პროცესი ინტერაქტიული და საინტერესო ყოფილიყო. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ Covid19-ის პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობდა ეზრუნა სტუდენტების უსაფრთხოებაზე და მათთვის სტრესული გარემოს შემსუბუქებაზე. რა თქმა უნდა, პანდემიამ გარკვეული გეგმების განხორციელებაში ხელი შემიშალა, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ სემესტრის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. გავხდი უფრო მეტად დამოუკიდებელი, ვისწავლე სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებთან ერთად მუშაობა ჯგუფურ პროექტებზე და გავეცანი მათ კულტურას, ასევე დავიწყე გერმანული ენის შესწავლაც.

ჩემი აზრით, ეს პროგრამა საუკეთესო გზაა საკუთარი თავის გაცნობისა და პიროვნული ზრდისთვის, ამიტომაც ყველა სტუდენტს ვურჩევ შესაძლებლობის შემთხვევაში ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებას.”